ოქმი:ო37. 37243612
თარიღი:26/12/2024

ოქმი N 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2024 წელი, 25 დეკემბერი
ქ. ოზურგეთი
11.00 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი; ფრაქციის თავმჯდომარე- მ. ჩხიკვიშვილი; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ბ. ქათამაძე, ნ.მახარაძე, ვ.ნიჟარაძე, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 27 -მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 27-ხმით.

დღის წესრიგი

16.1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ თალაკვაძე

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის

ბიუჯეტის პროექტი უნდა წარადგინოს საკრებულოს თავმჯდომარემ, ხოლო ძირითად მოხსენებას ამ საკითხზე გააკეთებს მუნიციპალიტეტის მერი ავ. თალაკვაძე, სიტყვა მოხსენებისათვის გადასცა საკრებულოს თავმჯდომარეს დ. დარჩიას, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ მოწვევის საკრებულოს არჩევის წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეადგენდა 12 მილიონ ლარს, წარმოდგენილი პროექტით 2025 წლის ბიუჯეტი 43 მილიონ ლარზე მეტია დაგეგმილი და ფაქტობრივად უახლოვდება 80 მილიონს, ზრდა უპრეცენდენტოა, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 10% ზღვარს მიაღწევს, მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის პრიორიტეტებზე, ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, სიახლეებზე პროგრამულ მუხლებსა და ქვეპროგრამებზე, ხაზი გაუსვა, რომ ბიუჯეტის პროექტი მომზადდა კანონმდებლობის სრულად დაცვით, საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციებში განხილვის შემდეგ დაუბრუნდა მუნიციპალიტეტის მერიას და კორექტირებული ვარიანტი შემოვიდა ვადის დაცვით, შენიშვნების გათვალისწინებით. სხდომის მსვლელობის დროს დარბაზში ხმაურით შემოცვივდნენ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები აქციებზე დაზარალებული მოქალაქეების სურათებით და შეეცადნენ სხდომის ჩაშლას, საკრებულოს თავმჯდომარემ წესრიგის დაცვისადმი რამდენჯერმე მოწოდების შემდეგ ისინი გააძევა სხდომათა დარბაზიდან და 11.30 საათზე გამოაცხადა 30 წუთიანი შესვენება.

სხდომა გაგრძელდა 12.00 საათზე, განმეორებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. საკრებულოს თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ საზოგადოება ხედავდა რადიკალური ოპოზიციის შემოჭრამდე და დებოშის მოწყობამდე როგორ მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის უმნიშნელოვანესი ფინანსური დოკუმენტის განხილვა, რასაც საზოგადოება შესაბამისად შეაფასებს. შემდეგ დამსწრე საზოგადოებას და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და უსურვა წარმატებები. სიტყვა მოხსენებისათვის გადასცა მუნიციპალიტეტის მერს ავ. თალაკვაძეს, რომელმაც განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი მომზადდა საკრებულოსთან კოლეგიალური თანამშრომლობით, მოსახლეობის ფართო ჩართულობით, პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია ოპოზიციას, ამის შემდეგ ისაუბრა ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, სიახლეებზე სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, ხაზი გაუსვა ონკოდაავადებულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მოქალაქეების დახმარებაში შეტანილ ცვლილებებს, აღნიშნა, რომ როგორც მიმდინარე წელს შესრულდა მოსახლეობის დაპირებები, ასევე მოხდება 2025 წელშიც მიცემული დაპირებების რეალიზაცია. განაცხადა, რომ რადიკალური ოპოზიცია ვერ ეგუება საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებას, რაც დაადასტურა მათმა დღევანდელმა საქციელმა. მადლობა გადაუხადა ქვეყნის მთავრობას, რეგიონის პარლამენტის წევრს, სახელმწიფო რწმუნებულს, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებს, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გაწეული ერთობლივი მუშაობისა და მხარდაჭერისათვის და მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს შინაარსიანი მოხსენებისათვის, აღნიშნა , რომ ტრადიციად დამკვიდრდა ბიუჯეტის ასეთ მაღალ დონეზე წარმოდგენა და დასვა რამდენიმე შეკითხვა: დასრულდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დამისამართება და, როგორც წინა წელშიც ითქვა, გათვალისწინებულია თუ არა 2025 წელში ქუჩების მიმანიშნებელი ფირნიშების დამზადება? მერიის შესაბამისი სამსახურის პროგნოზით ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთი იქნება 3 მილიონი ლარი, როგორია მისი განაწილების სავარაუდო პროგნოზი? აქვე მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და მის კოლექტივს გაწეული საქმიანობისათვის. ავ. თალაკვაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე საარჩევნო პერიოდის პირველი წლის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის 300 მილიონი

ლარის მოზიდვა საეჭვოდ იქნა მიჩნეული, მაგრამ განხორციელდა. 2025 წლისათვის ეს ნიშნული გადალახული იქნება, ბიუჯეტის თავისუფალი თავისუფალი ნაშთების მობილიზება განაპირობა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ზედამხედველობის გაძლიერებამ და ხარჯებში ეკონომიამ, მისი განაწილება მოხდება საკრებულოსთან შეთანხმებული გადაწყვეტილებებით, რაც შეეხება მიმანიშნებელ ფირნიშებს, მისი დამზადება განხორციელდება 2025 წელს. განაცხადა, რომ უახლოეს დროში საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიაწვდის სრულ ინფორმაციას მათი არჩეული მერის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის განხილვისას რადიკალური ოპოზიცია კვლავ შეეცადა სხდომის ჩაშლას. ფრაქციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებთან ერთად ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებაში, მუნიციპალიტეტის განვითარებას შეუქცევადი ხასიათი აქვს, რაც სჩანს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებსა და ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებში, მართლაც უპრეცედენტოა ბიუჯეტის ასეთი ზრდა. 2025 წლის ბიუჯეტი საუკეთესოა და ფრაქცია მხარს უჭერს მის დამტკიცებას. მის მხარდასაჭერად სურდა მოეწოდებინა ოპოზიციისათვისაც, მაგრამ მათ დესტრუქციული ქმედება არჩიეს. ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ისინი ისევე დამაჯერებლად დამარცხდებიან, როგორც საპარლამენტო არჩევნებში. მადლობა გადაუხადა მთავრობას, სახელმწიფო რწმუნებულს, პარლამენტის დეპუტატს მერიისა და საკრებულოს შემადგენლობას გაწეული მუშაობისათვის და მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი.

საკრებულოს წევრმა ბ. მელუამ დასვა შეკითხვა-მერია ითვალისწინებს თუ არა მუნიციპალურ ტრანსპორტზე პედაგოგებისათვის შეღავათების დაწესებას? მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ უპასუხა, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი ამჟამად მუშაობს სატესტო რეჟიმში, მოხდება ძირითადი მარშრუტების დადგენა, სატრანსპორტო პოლიტიკის განმსაზღვრელი სამუშაო ჯგუფი იმსჯელებს პედაგოგებისათვის შეღავათების დაწესებაზე.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ ტრადიციული დებოში მოაწყო რადიკალურმა ოპოზიციამ მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის განხილვისას, პრეზიდენტი, რომელსაც უშვერი სიტყვებით აგინებდნენ გაიხადეს ლიდერად და ეწევიან მოღალატეობრივ საქმიანობას. აღნიშნა, რომ კომისია აქტიურად მონაწილეობდა პროექტის შემუშავებაში, მათი შენიშვნები გათვალისწინებულია, კომისია მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, საკრებულოს წევრებსა და კოლეგებს მოუწოდა მისი მხარდაჭერისაკენ.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ბიუჯეტის პროექტს კენჭი უყარა ჯერ მუხლობრივად, შემდეგ მთლიანად, როგორც მუხლობრივ, ასევე მთლიან კენჭისყრაში მომხრე იყო 26, წინაღმდეგი-არა. სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ დამსწრე საზოგადოებას და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიულოცა 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

17.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნათია გოლიაძე

მარინა ვაშალომიძე

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით.

საკითხის გაცნობამდე თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ მოკლედ ისაუბრა რადიკალური ოპოზიციის საქციელზე, მოიხსენია ისინი ქვეყნის და მუნიციპალიტეტის მოღალატეებად, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ საკუთარ ამომრჩევლებს, აღნიშნა, რომ პარტია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“ უზრუნველყოფს ქვეყნის ევროპაში ინტეგრაციას, ოპოზიციას მონაწილეობა არ მიუღია ბიუჯეტის შემუშავებაში, წააგეს საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც სათანადო შეფასება მისცა საზოგადოებამ, სხდომაზე შემოჭრისას ხელებში ეჭირათ აქციებში დაზიანებულთა სურათები, მაშინ როცა უამრავი პოლიციელია დაზიანებული. დამსწრე საზოგადოებას და მუნიციპალიტეტის მოსახლობას მიულოცა 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცება. შემდეგ გააცნო დადგენილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

18.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით.

საკრებულოს წევრმა ე. გორდელაძემ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

19.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიღების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით.

საკრებულოს წევრმა ე. გორდელაძემ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

58.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში გ. ეპისკოპოსის ქუჩაზე მდებარე(ს.კ.26.26.47,371) 237 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 112 კვ.მ-ს სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით.

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ დავით ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

59.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე(ს.კ.26.26.31.009) უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ“--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით.

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ დავით ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

60.7. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ წმინდა გიორგის ქუჩის პირველი შესახვევის მოსახლეობა ითხოვს სანიაღვრე არხების მოწყობას, მეორე შესახვევის რეაბილიტაციისას თუა გათვალისწინებული ამ სამუშაოს შესრულება? განუმარტეს, რომ საკითხს დააზუსტებენ და აცნობებენ საკრებულოს.

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ ბექა თოიძემ განაცხადა, რომ დარგობრივმა კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს პროექტს.

8. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი